



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

[Handwritten signature] კახაბერ კირტავა

“17” დეკემბერი 2018 წელი

N 70/36

ეგზ: N1

ხულოს მუნიციპალიტეტში 2016-2017
წლებში განხორციელებული
სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

სარჩევი

შემოკლებანი	3
შემაჯამებელი მიმოხილვა	4
რეკომენდაციები	5
შესავალი	8
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	8
აუდიტორის პასუხისმგებლობა	8
აუდიტის საგანი	8
აუდიტის მასშტაბი	8
გამოყენებული კრიტერიუმები	9
აუდიტის მიზანი	9
ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ	9
ძირითადი ტექსტი	10
შესყიდვების დაგეგმვა და პროცესი	10
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	15
მზა ბეტონის მიწოდება	21
გარე განათება	22
სხვა საკითხთა აბზაცი	24
საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება	24
ინვენტარიზაცია	25
შიდა აუდიტი	26
განაცდურის ანაზღაურება	27
წინა აუდიტის დროს გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირება	28

შემოკლებანი

მუნიციპალიტეტი – ხულოს მუნიციპალიტეტი;

მერია – ხულოს მუნიციპალიტეტის მერია;

საკრებულო – ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულო;

საბავშვო ბაღების გაერთიანება – ა(ა)იპ – ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ხულოს მუნიციპალიტეტში 2016-2017 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევა-ნაკლოვანებები:

- ხულოს მუნიციპალიტეტში ცალკეულ შემთხვევებში სატენდერო წინადადება შედგენილია იმგვარად, რომ მიმწოდებლებისათვის ქმნის ხელოვნურ ბარიერს, რაც, შესაძლოა, კონკრეტული მიმწოდებლის ინტერესებზე იყოს მორგებული. ამასთანავე, შეწყვეტილი ტენდერების ანალიზით დადგენილია, რომ ტენდერების შეწყვეტის ძირითადი საფუძვლები ტექნიკური ხასიათისაა და მათი აღმოჩენა და გასწორება, ტენდერის მოსამზადებელი სამუშაოების სათანადოდ წარმართვის პირობებში, ტენდერის გამოცხადებამდე იყო შესაძლებელი. ამასთანავე, მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით მიღებული გადაწყვეტილებებით, რიგ შესყიდვებში პრეტენდენტები ნაცვლად დისკვალიფიკაციისა, გამოცხადდნენ გამარჯვებულად.
- ხულოს მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირების მიერ კურორტ ბეშუმში ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე არასათანადო კონტროლის, შესრულებული სამუშაოს ოდენობასა და ღირებულებაზე არასაკმარისი მტკიცებულებების პირობებში, გადახდილია თანხები, რაც გაწეული ხარჯების არარაციონალურობაზე მიუთითებს. ამასთანავე, ხარვეზების გამოვლენის მიზნით, მუნიციპალიტეტის მიერ დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგის პერიოდულობა არ არის საკმარისი.
- ხულოს მუნიციპალიტეტმა დაარღვია მზა ბეტონის მიწოდებასთან დაკავშირებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები და არ გამოიყენა ხარისხის უზრუნველსაყოფად დანერგილი კონტროლის მექანიზმები, ასევე განახორციელა საქონლის მიღება, შესაბამისი სასაქონლო ზედნადებების წარმოუდგენლობის პირობებში. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ ფლობს საკმარის მტკიცებულებებს იმის შესახებ, რამდენად ხარისხიანი და რა რაოდენობის სამუშაო შესრულდა აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში.
- ხულოს მუნიციპალიტეტის მიერ გარე განათების წერტილების მოვლა-ექსპლუატაციის ხელშეკრულების ფარგლებში არსებული მიღება-ჩაბარებებით, სამუშაოთა შესრულების აქტებით და სასაქონლო ზედნადებებით არ დასტურდება ფაქტობრივად გაწეული სამუშაოების რაოდენობა. არასათანადო და არასაკმარისი კონტროლის შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ ზედმეტად იქნა გადახდილი თანხები. ამასთანავე, მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებისათვის არ

გამოიყენა საჯარიმო სანქციები, რითაც ბიუჯეტმა დაკარგა დამატებით თანხების მიღების შესაძლებლობა.

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურებულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე.
- ხულოს მუნიციპალიტეტში 2017 წელს, ინვენტარიზაციის შედეგად, გამოვლენილ იქნა სხვადასხვა მატერიალური ფასეულობის დანაკლისი, როგორებიცაა, კომპიუტერული ტექნიკა და სამშენებლო მასალები. მუნიციპალიტეტმა არ გაატარა საკმარისი ღონისძიებები დანაკლისის სრულად ასანაზღაურებლად.
- ხულოს მუნიციპალიტეტში შიდა აუდიტის მიერ შედგენილ აუდიტორულ დასკვნებში ასახული მიგნებების შესაბამისად, გაცემულია რეკომენდაციები, თუმცა მათ შესრულებაზე არ ხდება სათანადო რეაგირება და არ ხორციელდება მონიტორინგი, რაც მუნიციპალიტეტისათვის რისკების მართვისა და შიდა კონტროლის სისტემის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.
- მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირების მიერ საკითხის არასათანადო შესწავლის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებით, ორ შემთხვევაში დასაქმებულ პირთა უკანონოდ გათავისუფლების გამო, განაცდური ხელფასის სახით ბიუჯეტიდან გადახდილია დამატებითი თანხები.

წინამდებარე ანგარიშში განხილულია აუდიტის შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები ვრცელი ფორმით და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

რეკომენდაციები

- **რეკომენდაცია №1:** ხულოს მუნიციპალიტეტმა, საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის უზრუნველსაყოფად, კონკურენტუნარიანი ტენდერების ჩატარების მიზნით, სწორად განსაზღვროს სატენდერო წინადადება, მათ შორის, პრეტენდენტთა გამოცდილების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კრიტერიუმები, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავს შესყიდვის კონკრეტულ პრეტენდენტზე მორგებას.
- **რეკომენდაცია №2:** ხულოს მუნიციპალიტეტმა, შესყიდვების ეფექტურად განხორციელების მიზნით, სათანადოდ და დროულად უზრუნველყოს შესყიდვის წინამოსამზადებელი სამუშაოები. ამასთანავე, სატენდერო კომისიამ უზრუნველყოს სატენდერო მოთხოვნების სრულად დაცვა და კანონმდებლობის შესაბამისად დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება, რაც ხელს შეუწყობს ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას და საკანონმდებლო ნორმების შესრულებას.

- **რეკომენდაცია №3:** მუნიციპალიტეტმა სამუშაოების შესყიდვისას განხორციელოს ისეთი პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალი რწმუნების მიღებას, რამდენად ჯეროვნად და ხარისხიანად შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები. არ დაუშვას თანხების გადარიცხვა იმ სამუშაოებისთვის, რომლებიც არ არის შესრულებული ან საჭიროებს დამატებით შესწავლას. გაატაროს ყველა სამართლებრივი ღონისძიება, რათა დაცული იყოს მუნიციპალიტეტის ინტერესები და არ განხორციელდეს თანხების არარაციონალური ხარჯვა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს ქმედითი ღონისძიებების გატარება დემონტაჟებული რეზერვუარების ადგილმდებარეობის დადგენისა და შესაბამის პირთა პასუხისმგებლობის განსაზღვრის მიზნით.
- **რეკომენდაცია №4:** ხულოს მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) რეგულარულად განხორციელოს შესრულებული სამუშაოების მდგომარეობის მონიტორინგი და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, არსებული ნაკლოვანებების დროულად აღმოფხვრის მიზნით, გაატაროს სათანადო ღონისძიებები. აღნიშნული, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ხელს შეუწყობს შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და მოსახლეობისათვის ინფრასტრუქტურული პროექტების მიწოდებას.
- **რეკომენდაცია №5:** მუნიციპალიტეტის მერიამ (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) შესყიდული საქონლის რაოდენობისა და ხარისხის შესახებ მაღალი რწმუნების მისაღებად, უზრუნველყოს მიმწოდებლისაგან შესაფერისი და საკმარისი დოკუმენტაციის მიღება, მათ შორის, შესყიდული მზა ბეტონის ხარისხის შესახებ ლაბორატორიული დასკვნები, რითაც უტყუარად დადასტურდება შესყიდული საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან სრული შესაბამისობა.
- **რეკომენდაცია №6:** მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს სტრატეგია, გარე განათების მომსახურებაზე სათანადო კონტროლის მექანიზმების დაწესების შესახებ და გამოიყენოს საჯარიმო სანქციები ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.
- **რეკომენდაცია №7:** ხულოს მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ დაუშვას საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრის საქმიანობის შესახებ „ადგილობრივი თვითმმართველობის

კოდექსით“ დადგენილი მიზნების დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

- **რეკომენდაცია №8:** ხულოს მუნიციპალიტეტმა გაზარდოს საკუთარი ქონების დაცვის მექანიზმები და უზრუნველყოს არსებული დანაკლისების ანაზღაურების/დაბრუნების მიზნით, შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისადმი ეფექტიანი სამართლებრივი ღონისძიებების გატარება.
- **რეკომენდაცია №9:** ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურმა გააძლიეროს მონიტორინგი მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობასა და მათზე გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე. აღნიშნული უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს ვაკანსიის შევსების მიზნით კონკურსის გამოცხადება, რაც აუცილებელია შიდა აუდიტის სამსახურის წინაშე არსებული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, მუნიციპალიტეტის საქმიანობის ობიექტური და სრულფასოვანი შეფასებისათვის.
- **რეკომენდაცია №10:** ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ, საკადრო საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებისას, იხელმძღვანელოს მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე ისე, რომ არ დაირღვეს სხვა პირების კანონიერი ინტერესები და ბიუჯეტს არ მიადგეს ზიანი.
- **რეკომენდაცია №11:** წინამდებარე ანგარიშში ასახული, 2016-2017 წლებში ხულოს მუნიციპალიტეტში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტის შედეგების გათვალისწინებით, გაცემულ რეკომენდაციებთან ერთად, ხულოს მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს და წარმოადგინოს სამოქმედო გეგმა დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის, სადაც ასევე ასახული იქნება მუნიციპალიტეტის 2015 წლის ფინანსური აუდიტის შედეგად გაცემული შეუსრულებელი რეკომენდაცია. ასევე გონივრულ ვადაში წარმოდგენილ იქნეს ინფორმაცია გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და მიღწეული შედეგების შესახებ.

შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოს საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ხულოს მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ, მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

ხულოს მუნიციპალიტეტში 2016-2017 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა, ხულოს მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა

მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები, ჯამში 27,773,647 ლარი.

გამოყენებული კრიტერიუმები

- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“.

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

- ა) ჩამოყალიბდეს დასკვნა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის საქმიანობის შესახებ

ხულოს მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (ს/კ 248056311), რომელსაც ჰყავს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება და ბიუჯეტი. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია 8 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 13 ადმინისტრაციულ ერთეულს. ადმინისტრაციული ცენტრია დაბა ხულო.

ცხრილი N1. ხულოს მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების მაჩვენებლები (ლარი)

დასახელება	წელი	საკასო შესრულება	ჯამი
შემოსულობები	2016	13,273,665	27,610,921
	2017	14,337,256	
გადასახდელები	2016	13,059,375	27,773,647
	2017	14,714,272	

ხულოს მუნიციპალიტეტის მიერ, 2016-2017 წლებში გაფორმებულია სულ 589 ხელშეკრულება. მათ შორის, შესყიდვის ელექტრონული საშუალებით – 390 და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით – 199 ხელშეკრულება.

ცხრილი N2. ხულოს მუნიციპალიტეტის მიერ 2016-2017 წლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებები (ლარი)

დასახელება	2016 წელი		2017 წელი	
	რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება
გაფორმებული ხელშეკრულებები				
ელექტრონული საშუალება	212	7,812,666	178	7,145,095
მათ შორის, კონსოლიდირებული	15	50,323	18	51,088
გამარტივებული შესყიდვა	94	238,124	105	382,530
ჯამი:	306	8,050,790	283	7,527,625

ძირითადი ტექსტი

შესყიდვების დაგეგმვა და პროცესი

კრიტერიუმი: შესყიდვის წინამოსამზადებელი სამუშაოები მოიცავს ბაზრის კვლევას, შესასყიდი საქონლის/მომსახურების ტექნიკური პარამეტრების, მახასიათებლების ჩამოყალიბებას და სავარაუდო ღირებულების დადგენას. ამ პროცესის სათანადოდ წარმართვა უზრუნველყოფს შესყიდული საქონლის/მომსახურების მისაღებ ხარისხს და ფასს. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების დაგეგმვის ეტაპზე, ფულადი სახსრების რაციონალურად ხარჯვის უზრუნველყოფის მიზნით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სატენდერო წინადადებაში ოპტიმალური პირობების განსაზღვრას. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია დეტალურად

შეამოწმოს პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მათი სატენდერო წინადადებებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, მისცეს მათ დისკვალიფიკაცია¹.

გარემოება 1: ხულოს მუნიციპალიტეტი 2016-2017 წლებში ახორციელებდა მზა ბეტონის შეძენას. აღნიშნული გამარტივებული ელექტრონული ტენდერები² მიმდინარეობდა კონკურენციის გარეშე, რის შედეგად 2017 წელს მიმწოდებლები იყვნენ შპს „რეზი+2012“ და შპს „მშენებელი-7“, ხოლო 2016 წელს – შპს „რეზი+2012“ და შპს „გოი+2016“. აღნიშნული მიმწოდებლები შესყიდვებში არ უწევდნენ ერთმანეთს კონკურენციას და შესაბამისად, მითითებულ ტენდერებში ყოველთვის თითო-თითო პრეტენდენტი მონაწილეობდა, ამასთანავე, შპს „რეზი+2012“ და შპს „გოი+2016“ ურთიერთდაკავშირებული კომპანიები იყვნენ. კერძოდ, ორივე იურიდიული პირის დამფუძნებელი და დირექტორი ერთი და იგივე პირია. ორივე კომპანიასთან მხოლოდ მზა ბეტონის მიწოდებაზე, ჯამში დადებულია 450,718 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები. მიუხედავად იმისა, რომ 2016 წელს მზა ბეტონის შესყიდვა განხორციელდა კონკურენციის გარეშე და ასევე მერიის მხრიდან არ დაფიქსირებულა ხელშეკრულების პირობების დარღვევის ფაქტები, მუნიციპალიტეტმა 2017 წელს ანალოგიური საქონლის შესყიდვისას დააწესა დამატებითი შემზღუდველი პირობები და სატენდერო წინადადებით განსაზღვრა ახალი მოთხოვნა, პრეტენდენტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ. კერძოდ, „პრეტენდენტს 4 (ოთხი) ერთეული ბეტონმრევი მანქანიდან საკუთრებაში უნდა გააჩნდეს მინიმუმ 2 (ორი) ერთეული ბეტონმრევი მანქანა ან/და მზა ბეტონის ნარევის დამამზადებელი ქარხანა“. 6 შემთხვევაში, ტენდერი არ შედგა³, ხოლო სხვა შემთხვევაში, კონკურენციის გარეშე ხელშეკრულებები გაუფორმდა შპს „რეზი+2012-ს“ და შპს „მშენებელი-7-ს“. პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, კერძოდ, სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის მოწმობების შესაბამისად, შპს „მშენებელი-7-ს“ 2017 წლიდან საკუთრებაში გააჩნდა 3 სპეციალიზებული სატრანსპორტო საშუალება და ერთი აღებული იყო იჯარით, ხოლო შპს „რეზი+2012-ს“ 2017 წლიდან საკუთრებაში გააჩნდა ორი და ორი – საიჯარო ხელშეკრულებით, შპს „გოი+2016-სგან“.

დასკვნა: სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას სატენდერო დოკუმენტაციაში დაუსაბუთებელი და ხელოვნური მოთხოვნები მიუთითებს, რომ კონკურენცია შეზღუდულია და შესყიდვა კონკრეტულ პრეტენდენტზეა მორგებული. აღნიშნული საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივად განკარგვის და მუნიციპალიტეტის ინტერესების

¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-5 პუნქტი.

² NAT160003702, NAT160003668, SPA160027838, SPA160017375, NAT170009172, NAT170011404, NAT170011405, NAT170007992, NAT170010219.

³ NAT170010220, NAT170009176, NAT170009171, NAT170008016, NAT170008014, NAT170007993.

საწინააღმდეგო გარიგებების რისკებს შეიცავს. ასევე შემზღუდველი პირობების გამო, არშემდგარი ტენდერები სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების არაეფექტიანობის საფუძველია.

რეკომენდაცია №1: ხულოს მუნიციპალიტეტმა, საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის უზრუნველყოფისათვის, კონკურენტუნარიანი ტენდერების ჩატარების მიზნით, სწორად განსაზღვროს სატენდერო წინადადება, მათ შორის, პრეტენდენტთა გამოცდილების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის კრიტერიუმები, რაც თავის მხრივ, გამორიცხავს შესყიდვების კონკრეტულ პრეტენდენტებზე მორგებას.

გარემოება 2: აუდიტის პერიოდში შეწყვეტილია 11 ელექტრონული ტენდერი, რომელთა ანალიზით დადგინდა, რომ შეწყვეტის მიზეზების უმეტესობა ტექნიკური ხასიათისაა⁴ და მათი აღმოჩენა და გასწორება ტენდერის მოსამზადებელი სამუშაოების სათანადოდ წარმართვის პირობებში, ტენდერის გამოცხადებამდე იყო შესაძლებელი. შეწყვეტის საფუძველად ძირითადად მითითებულია საპროექტო დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზები, ტექნიკურ დოკუმენტაციაში დაშვებული უზუსტობანი და სხვ. (იხ. ცხრილი N3).

ცხრილი N3. 2016-2017 წლებში შეწყვეტილი ტენდერები

N	შესყიდვის ობიექტი	განცხადების ნომერი	სავარაუდო ღირებულება (ლარი)	ტენდერის შეწყვეტის საფუძველები
1	დანისპარაულში წისქვილის მშენებლობისათვის მასალების შეძენა	NAT170010137	1,270	დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, წინადადების მიღების დასრულების ვადა ნაცვლად 2017 წლის 14 სექტემბრისა, მითითებულია 4 სექტემბერი. ასევე ფასების ცხრილში მისაწოდებელი მასალის რაოდენობა არასწორია.
2	ქვედა ვაშლოვანში არსებული საერთო სასაფლაოების მავთულბადით შემოკვეთის სამუშაოები	NAT170000866	13,474	საპროექტო დოკუმენტაციაში აღმოჩნდა ხარვეზები, ასევე საჭირო გახდა გაზრდილიყო სამუშაოთა მოცულობები.
3	ეპილეფსიის საწინააღმდეგო მედიკამენტების შეძენა	NAT160003740	3,420	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მითითებით – საქონლის ჩამონათვალში პირდაპირ იყო მითითებული სასაქონლო ნიშანი, რომლის მწარმოებელი კომპანია და ქვეყანა წინასწარ იყო ცნობილი.
4	სოფელ შუასოფლის გარე განათების მოწყობის (გაგრძელება) სამუშაოები	SPA160027905	935	ტექნიკური შეცდომა იქნა დაშვებული შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრისას.
5	სოფლების – წაბლანის და ვერნების გადასატანი კარკასული კარვის ასაწყო მასალები	NAT160003080	12,345	ტექნიკურ დოკუმენტაციაში დაშვებული უზუსტობები.
6	სოფლების – წაბლანის და ვერნების გადასატანი კარკასული კარვის ასაწყო მასალები	NAT160002997	17,373	ტექნიკური შეცდომა იქნა დაშვებული შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვრისას.
7	სოფელ გულდაურის მინისპორტული მოედნის მშენებლობა	SPA160025222	29,597	ხარჯთაღრიცხვასა და პროექტში არსებული უზუსტობები

⁴ აღნიშნული საფუძველით შეწყდა 7 ელექტრონული ტენდერი, ხოლო 4 – კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველით.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ტენდერების შეწყვეტა მოსამზადებელი სამუშაოების არასათანადოდ წარმართვის შედეგია, რამაც გამოიწვია დაგეგმილი პროექტების ვადის გადაწევა.

გარემოება 3: საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ, საწმენდი და საპრიალებელი საქონლის შემენის მიზნით, გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი⁵, სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო აღნიშნული საქონლის მიწოდების გამოცდილება, რომლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია შესყიდვაში ერთადერთ მონაწილეს არ აუტვირთავს და მიუხედავად იმისა, რომ ის ექვემდებარებოდა დისკვალიფიკაციას, მასთან გაფორმდა 7,940 ლარის ღირებულების ხელშეკრულება.

გარემოება 4: საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ, სოფელ კორტოხის (აგრეთვე სხვა სტრუქტურული ერთეულებისათვის) საბავშვო ბაღისათვის ავეჯის შესყიდვის მიზნით, გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი⁶, სავარაუდო ღირებულებით – 52,770 ლარი. სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, პრეტენდენტი ვალდებული იყო წარმოედგინა ინფორმაცია მისაწოდებელი საქონლის საგარანტიო ვადის და პირობების შესახებ. ასევე იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალი იქნებოდა შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, საჭირო იყო ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადასტურება. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა შესაძლებელია დადასტურებულიყო მხოლოდ შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებებით ან ანგარიშგაქტურით. შესყიდვაში მონაწილე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტს, რომლის საბოლოო ფასი 24%-ით დაბალი იყო სავარაუდო ღირებულებაზე, სატენდერო კომისიის მიერ დაზუსტების ეტაპზე მოთხოვნილი იყო ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის და მისაწოდებელი საქონლის საგარანტიო პირობების შესახებ ინფორმაცია. პრეტენდენტს არ წარმოუდგენია საგარანტიო პირობების შესახებ ინფორმაცია, ხოლო ფასწარმოქმნასთან დაკავშირებით სისტემაში აიტვირთა კერძო აუდიტის დასკვნა, რასაც არ ითვალისწინებდა სატენდერო დოკუმენტაცია. შესაბამისად, უნდა მომხდარიყო პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია და არა – გამარჯვებულად გამოცხადება.

აღნიშნული შესყიდვა მასში მონაწილე მომდევნო პრეტენდენტის მიერ გასაჩივრდა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების განხილვის საბჭოში. საბჭოს მიერ, ზემოთ აღნიშნული საფუძველით, კერძოდ, გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი წინადადების სატენდერო წინადადებასთან შეუსაბამობის გამო,

⁵ SPA 160007146

⁶ SPA 160028917

გაუქმდა ა(ა)იპ – ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება პრეტენდენტის გამარჯვებულად გამოცხადების შესახებ. აღსანიშნავია, რომ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის განხორციელებაში დაშვებული დარღვევების შედეგად, ა(ა)იპ – ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებამ ავეჯის შესყიდვა განახორციელა მომდევნო წელს.

გარემოება 5: ხულოს მუნიციპალიტეტმა 2016 წლის 30 იანვარს გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი⁷ კურორტ ბეშუმში ადმინისტრაციული შენობის მშენებლობაზე, სავარაუდო ღირებულებით – 33,898 ლარი (დღგ-ის გარეშე). უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტის, შპს „ვიგორას“ მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალი იყო შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე. სატენდერო კომისიამ პრეტენდენტს განუსაზღვრა 10-დღიანი ვადა ფასწარმოქმნის ადეკვატურობაზე ექსპერტის დასკვნის წარსადგენად. შპს „ვიგორამ“ 2016 წლის 18 თებერვალს მიმართა ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობას ექსპერტიზის დასკვნის წარდგენის ვადის 5 დღით გაგრძელების თაობაზე, რადგან ექსპერტმა მოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია. იმის გათვალისწინებით, რომ მშენებლობა უნდა დაწყებულიყო მშენებლობის ნებართვის გაცემის შემდგომ, 2016 წლის მაისში, თანხების რაციონალურად ხარჯვის მიზნით, სატენდერო კომისიას შეეძლო მიეცა თანხმობა მოთხოვნილი ვადის გაგრძელებაზე. მიუხედავად ამისა, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით⁸, დისკვალიფიცირებულ იქნა შპს „ვიგორა“. აღნიშნულის შემდეგ გაგრძელდა შესყიდვის პროცედურა და საბოლოოდ გაფორმდა 5,701 ლარით მეტი ღირებულების ხელშეკრულება.

დასკვნა: მუნიციპალიტეტის მიერ შეწყვეტილი ელექტრონული ტენდერები, დაგეგმვის ეტაპზე მოსამზადებელი სამუშაოების არასათანადოდ წარმართვის შედეგია. რიგ შესყიდვებში, პრეტენდენტთა მიერ სატენდერო დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის მიუხედავად, პრეტენდენტები ნაცვლად დისკვალიფიკაციისა, გამოცხადდნენ გამარჯვებულად, რაც გამოწვეულია შესაბამისი სატენდერო კომისიის მიერ მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით⁹ მიღებული გადაწყვეტილებებით. ასევე შემსყიდველ ორგანიზაციას, კანონმდებლობის სრული დაცვით, შეეძლო მიეღო არსებულისაგან განსხვავებული გადაწყვეტილება, რითაც შესაძლებელი იქნებოდა 5,701 ლარით საბიუჯეტო სახსრების დაზოგვა.

რეკომენდაცია №2: ხულოს მუნიციპალიტეტმა, შესყიდვების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, სათანადოდ და დროულად განახორციელოს შესყიდვის

⁷ SPA 160001349

⁸ სატენდერო კომისიის 2016 წლის 23 თებერვლის გადაწყვეტილება.

⁹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი.

წინამოსამზადებელი სამუშაოები. ამასთანავე, სატენდერო კომისიამ უზრუნველყოს სატენდერო მოთხოვნების სრულყოფილად დაცვა და კანონმდებლობის შესაბამისად, დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება, რაც ხელს შეუწყობს ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას და საკანონმდებლო ნორმების შესრულებას.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

კრიტერიუმი: შემსყიდველი ვალდებულია განახორციელოს სათანადო კონტროლი მიმწოდებლების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების განუხრელ დაცვაზე, არ მიიღოს შეუსრულებელი სამუშაოები და არ განახორციელოს ანგარიშსწორება სათანადო შემოწმებისა და დოკუმენტაციის გარეშე.

გარემოება 1: ხულოს მუნიციპალიტეტის მიერ, კურორტ ბეშუმში სასმელი წყლის რეაბილიტაციის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში¹⁰ გამარჯვებულთან, შპს B&B-სთან დაიდო ხელშეკრულება¹¹, ღირებულებით – 717,229 ლარი. შეთანხმების¹² თანახმად, სამუშაოები უნდა განხორციელდებულიყო 2016 წლის 5 მაისიდან 2 ოქტომბრამდე პერიოდში. სამუშაოთა მიღება-ჩაბარება ხორციელდებოდა ეტაპობრივად, ტექნიკური ზედამხედველის¹³ მეშვეობით, ხოლო საბოლოო მიღება-ჩაბარებისათვის გათვალისწინებული იყო საექსპერტო დასკვნა, რომლითაც უნდა დადგენილიყო შესრულებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვით ფიქსირებული მოცულობების და ფასების შესაბამისობა და ხარისხი.

პროექტის თანახმად, გათვალისწინებული იყო წყლის რეზერვუარების დემონტაჟი, მათი განახლება და შემდგომ მონტაჟი. წარმოდგენილი ინფორმაციით¹⁴ ირკვევა, რომ მიმწოდებელმა, გარდა შეთანხმებით გათვალისწინებული რეზერვუარებისა, დამატებით განახორციელა ორი ცალი 30-ტონიანი რეზერვუარის¹⁵ დემონტაჟი. აუდიტის ჯგუფი დაინტერესდა დემონტაჟებული რეზერვუარების ადგილმდებარეობით, თუმცა მუნიციპალიტეტი არ ფლობს ინფორმაციას მათ შესახებ. შესაბამისად, შესაძლოა, მუნიციპალიტეტი საკუთრებას არამართლზომიერად განკარგავს.

ამუშაოთა საბოლოო მიღება-ჩაბარებისათვის ჩატარდა შესრულებულ სამუშაოთა ექსპერტიზა¹⁶. ექსპერტი თავის დასკვნაში აღნიშნავს, რომ ობიექტზე ჩატარებული

¹⁰ SPA 160008137

¹¹ ხელშეკრულება №85, 2016 წლის 28 აპრილი.

¹² 2016 წლის 15 აგვისტოს შეთანხმება ხელშეკრულება №85-ში ცვლილებების შეტანის შესახებ.

¹³ ხელშეკრულება №79, 2016 წლის 14 აპრილი.

¹⁴ წერილები №5048/09, 25.05.2016 და №5897/09, 29.06.2016.

¹⁵ მოპოვებული ინფორმაციით, ერთი რეზერვუარის ღირებულება 5000-8000 ლარამდეა.

¹⁶ ინსპექტირების ანგარიში №049, 2016 წლის 31 ოქტომბერი, შპს „ზაისა და კომპანია“.

ინსპექტირების სამუშაოებიდან გამომდინარე, განხორციელდა შესრულებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის შედგენა, რომელშიც აგრეთვე გათვალისწინებულ იქნა ტექნიკური ზედამხედველისა და მიმწოდებლის მიერ დამოწმებული ფარულ სამუშაოთა აქტები. ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვით, გათვალისწინებული დანარიცხების შესაბამისად, შესრულებულ სამუშაოთა 80% განეკუთვნება ფარულ სამუშაოთა სახეობებს. საექსპერტო დასკვნაზე თანდართულია 28 ცალი ფარულ სამუშაოთა აქტი, სადაც გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს 386,551 ლარს¹⁷. მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის ინფორმაციით, ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო 422,945 ლარის¹⁸ ღირებულების ფარული სამუშაოები, რაც 36,394 ლარით მეტია ექსპერტისთვის წარდგენილი ფარული სამუშაოების აქტებთან შედარებით. ასევე აქტებში დაფიქსირებული სამუშაოების მოცულობები არ ემთხვევა ექსპერტის მიერ შედგენილ ხარჯთაღრიცხვაში დაფიქსირებულ მოცულობებს. შესაბამისად, გაურკვეველია რაზე დაყრდნობით შეადგინა ექსპერტმა ხარჯთაღრიცხვა. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საექსპერტო დასკვნა ვერ ადასტურებს მიმწოდებლის მიერ გაწეულ სამუშაოთა მოცულობებსა და ღირებულებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მიმწოდებელს შესრულებული აქვს ჯამში 712,149 ლარის ღირებულების სამუშაოები, საიდანაც პირგასამტეხლოს სახით, სამუშაოთა დასრულების ეტაპის ვადის დარღვევის გამო, ჯამში დაიქვითა 2,900 ლარი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო, რომ მიმწოდებლისთვის შესრულებული სამუშაოდან 5% დაეკავებინათ, რომლის ნახევრის გადახდა ხორციელდებოდა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ, ხოლო დარჩენილი თანხა გადაიხდებოდა სამუშაოს დასრულებიდან (2016 წლის 1 ოქტომბერი) 1 (ერთი) წლის შემდეგ, როდესაც ტექნიკური ზედამხედველი დაამოწმებდა, რომ მის მიერ ყველა მითითებული დეფექტი აღმოფხვრილია მიმწოდებლის მხრიდან. ამასთანავე, შესრულებული სამუშაოების საგარანტიო პერიოდი განსაზღვრულია 3 წლით. მუნიციპალიტეტმა, 2017 წლის 14 სექტემბერს მიმწოდებლისთვის გაგზავნილ წერილში¹⁹ მიუთითა ხარვეზების არსებობის შესახებ და მოითხოვა მათი გამოსწორება, თუმცა ხარვეზების აღმოფხვრის შესახებ რაიმე დოკუმენტი ვერ იქნა წარმოდგენილი. აუდიტის ჯგუფმა დააფიქსირა იდენტური ხარვეზები, რითაც ასევე დასტურდება, რომ მიმწოდებელს არ შეუსრულებია ნაკისრი ვალდებულებები. მუნიციპალიტეტმა, აღნიშნულ პირობებში, ნაცვლად შეუსრულებელი

¹⁷ სატრანსპორტო და ამწე-მექანიზმების, ზედნადები ხარჯებისა და გეგმური დაგროვების გარეშე.

¹⁸ სატრანსპორტო და ამწე-მექანიზმების, ზედნადები ხარჯებისა და გეგმური დაგროვების გარეშე.

¹⁹ წერილი N09/8305, 2017 წლის 14 სექტემბერი.

ვალდებულებისთვის გათვალისწინებული სამართლებრივი ღონისძიებების გატარებისა, მიმწოდებელთან განახორციელა საბოლოო ანგარიშსწორება²⁰.

2018 წლის 21 ივნისს აუდიტის ჯგუფის წევრებმა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა განახორციელეს შესრულებული სამუშაოს შერჩევითი ვიზუალური დათვალიერება, რის საფუძველზე გამოვლინდა ნაკლოვანებები, კერძოდ: პროექტით გათვალისწინებული 9 სახანძრო ჰიდრანტიდან, 7 – არ იყო დამონტაჟებული, ასევე არ არის მოწყობილი სარეზერვო თანხით გათვალისწინებული რაოდენობის ჩამკეტი ონკანები, რეზერვუარებზე არ არის შესრულებული გრუნტის სამუშაოები და დაზიანებულია წყალსადენის ჭები. იმის გათვალისწინებით, რომ კურორტ ბეშუმში თითქმის ყველა სახლი ხის კონსტრუქციისაა, სახანძრო ჰიდრანტების მონტაჟი, სახანძრო უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე, პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად შეუსრულებელი სამუშაოებისა, ტექნიკური ზედამხედველი და ექსპერტი ადასტურებენ სამუშაოების შესრულებას, რაც მიუთითებს მუნიციპალიტეტის ინტერესების საზიანოდ მიმწოდებელთან შესაძლო გარიგებასა და საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ განკარგვაზე.

სურათი N1. კურორტი ბეშუმში, სასმელი წყლის რეაბილიტაცია



²⁰ 2017 წლის 20 დეკემბერი, საგადასახადო მოთხოვნები N00004, 00005, 00006, ჯამური თანხა: 17 803.73 ლარი.

გარემოება 2: ხულოს მუნიციპალიტეტის მიერ კურორტ ბეშუმის შიდა გზების რეაბილიტაციის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში²¹ გამარჯვებულ შპს „დავითთან“ გაფორმდა ხელშეკრულება, ღირებულებით – 828,855 ლარი. შეთანხმებით, სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2017 წლის 1 ოქტომბერი, ხოლო შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადად – გადმოცემიდან 3 წელი. საბოლოო მიღება-ჩაბარებისთვის გათვალისწინებული იყო საექსპერტო დასკვნა²², რომლითაც უნდა დადგენილიყო:

1. შესრულებული სამუშაოებისა და ხარჯთაღრიცხვით ფიქსირებული მოცულობების და ფასების შესაბამისობა.
 2. შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი.
- აუდიტის ჯგუფის წევრებმა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა, 2018 წლის 21 ივნისს განხორციელეს შესრულებული სამუშაოს შერჩევითი ვიზუალური დათვალიერება, რის საფუძველზე გამოვლინდა ნაკლოვანებები, კერძოდ: შიდა გზების რეაბილიტაციის ფარგლებში გათვალისწინებული ბეტონის კიუვეტების²³ მოწყობის სამუშაოები ხარვეზით არის შესრულებული (გზა N4), ასევე დაზიანებულია გზების გარკვეული მონაკვეთები. აღნიშნული სამუშაოების შესრულება დადასტურებული აქვს ტექნიკურ ზედამხედველს და დამოუკიდებელ ექსპერტს, რომელთა პირდაპირი ვალდებულება იყო გამოევიწყებინა მსგავსი შემთხვევები. ამასთანავე, მერიის შესაბამის კომისიას უნდა განეხორციელებინა შესრულებული სამუშაოების მონიტორინგი და მიეღო გადაწყვეტილება თანხის ანაზღაურების შესახებ, მაგრამ კომისიამ არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები. მერიამ ხარვეზებთან დაკავშირებით არაერთხელ მიმართა მიმწოდებელს²⁴. მიუხედავად იმისა, რომ შპს „დავითთან“ ხარვეზების აღმოსაფხვრელად გარკვეული სამუშაოები ჩაატარა, ხარვეზები აუდიტის მიმდინარეობის დროსაც არ იყო სრულყოფილად აღმოფხვრილი. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს არ გამოუყენებია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა სამართლებრივი ღონისძიებები.

²¹ NAT 170006224.

²² წარმოდგენილია ინსპექტირების ანგარიში N FT-233/10/01-2017, გაცემის თარიღი – 14.11.2017, შპს „ალთა“.

²³ გზის, ქუჩის გასწვრივ გაყვანილი რუ.

²⁴ წერილები №09/4627, 10.05.2018; №09/5460, 31.05.2018; №09/6654, 23.07.2018.

სურათი N2. კურორტი ზემუმი, საავტომობილო გზის დაუსრულებელი და დაზიანებული მონაკვეთები



დასკვნა: ხულოს მუნიციპალიტეტმა არ განახორციელა სათანადო კონტროლი მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რის შედეგად შესრულებული სამუშაოს ოდენობასა და ღირებულებაზე არასაკმარისი მტკიცებულებების, ასევე რიგი შეუსრულებელი სამუშაოების პირობებში, ჯამში გადახდილია 1,531,372 ლარი, რაც მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტმა შესაბამისი ღონისძიებები არ გამოიყენა და შესაძლოა, არარაციონალური ხარჯი გასწია.

რეკომენდაცია №3: მუნიციპალიტეტმა სამუშაოების შესყიდვისას განახორციელოს ისეთი პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალი რწმუნების მიღებას, რამდენად ჯეროვნად და ხარისხიანად შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოები. არ დაუშვას თანხების გადარიცხვა იმ სამუშაოებისთვის, რომლებიც არ არის შესრულებული ან საჭიროებს დამატებით შესწავლას. გაატაროს ყველა სამართლებრივი ღონისძიება, რათა დაცული იყოს მუნიციპალიტეტის ინტერესები და არ განხორციელდეს თანხის არარაციონალური ხარჯვა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს ქმედითი ღონისძიებების გატარება დემონტაჟებული რეზერვუარების ადგილმდებარეობის დადგენისა და შესაბამის პირთა პასუხისმგებლობის განსაზღვრის მიზნით.

გარემოება 3: აუდიტის ჯგუფმა მერიის წარმომადგენლებთან ერთად განახორციელა 2016-2017 წლებში შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევითი შემოწმება (სტადიონები, საბავშვო ბაღები, კულტურის სახლების მშენებლობა-რეაბილიტაცია და სხვ.). შემოწმების შედეგად, სოფელ თხილვანაში – საბავშვო ბაღის, სოფელ ფაჩხაში –

ასევე საბავშვო ბაღის, სოფელ სხალთაში – კლუბის და სოფელ ხიხაძირში – კულტურის სახლის შენობებზე გამოვლინდა სხვადასხვა სახის ხარვეზი, კერძოდ: კედლებსა და ტიხრებზე ცაკლეულ ადგილას ბათქაში დაბზარულია, იატაკზე დაზიანებულია ლამინატი, ხის სცენა არ არის სათანადოდ დამონტაჟებული და სხვ. აღნიშნულ ხარვეზებთან დაკავშირებით, მათი აღმოფხვრის მიზნით, აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში, მერიამ მიმწოდებლებს დაუგზავნა წერილები, ხოლო აუდიტის ჯგუფს წარმოუდგინა წინა პერიოდის დოკუმენტაცია ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით.

სურათი N3. სოფელ სხალთის კლუბი, დაზიანებული კედლები და დასაწყობებული გარე ფასადის მასალები



დასკვნა: ხულოს მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირების მიერ, დასრულებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად, მიუხედავად გატარებული რიგი ღონისძიებებისა, აუდიტის ჯგუფმა გამოავლინა სხვა დაზიანებებიც, რომლებზეც მუნიციპალიტეტის მიერ დამატებით უნდა გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები.

რეკომენდაცია №4: ხულოს მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) რეგულარულად განახორციელოს შესრულებული სამუშაოების მდგომარეობის მონიტორინგი და ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო ღონისძიებები არსებული ნაკლოვანებების დროულად აღმოსაფხვრის მიზნით. აღნიშნული, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ხელს შეუწყობს შესყიდული ობიექტების გამართულ ფუნქციონირებას და მოსახლეობისთვის ინფრასტრუქტურული პროექტების მიწოდებას.

მზა ბეტონის მიწოდება

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე. კონტროლის მიზანია ზედამხედველობა გაუწიოს შესრულებული სამუშაოს რაოდენობას/მოცულობას, ხარისხს, ვადას და საქონლის მიწოდებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ადგილის მიხედვით. მიმწოდებელს თანხა უნდა აუნაზღაურდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვის შესაბამისად.

გარემოება 1: ხულოს მუნიციპალიტეტმა, მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის მზა ბეტონის შესყიდვაზე გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში²⁵ გამარჯვებულ პრეტენდენტს, შპს „რეზი+2012-ს“, 2016 წლის 29 ივნისს გაუფორმა ხელშეკრულება 48,544 ლარზე²⁶. ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელი ვალდებული იყო მუნიციპალიტეტის ოთხ სოფელში მიეწოდებინა ჯამში 296 კუბ. მ მზა ბეტონი. ამასთანავე, შესრულებული სამუშაოს ანგარიშსწორება განხორციელდებოდა ეტაპობრივად, საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციისა და ბეტონის მარკის დამადასტურებელი ლაბორატორიული დასკვნის წარდგენის შემდგომ. წარმოდგენილი დოკუმენტაციით²⁷ ირკვევა, რომ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სრულ მოცულობაზე (296 კუბ. მ) გამოწერილი აქვს მხოლოდ ერთი სასაქონლო ზედნადები. აუდიტის ჯგუფმა, გარე დადასტურების წერილით მიმწოდებლისაგან მოითხოვა ინფორმაცია აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული მზა ბეტონის შესყიდვის/წარმოების შესახებ, თუმცა მიმწოდებელმა არანაირი სახის დოკუმენტაცია არ წარმოადგინა. ამდენად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება 48,544 ლარის ღირებულების მიწოდებული მზა ბეტონის მოცულობის რეალობასთან დაკავშირებით.

გარემოება 2: ხულოს მუნიციპალიტეტის მიერ სოფლებისათვის მზა ბეტონის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერებში²⁸, 2016-2017 წლებში გამარჯვებულად გამოცხადდა ერთადერთი პრეტენდენტი – შპს „რეზი+2012“, სახელშეკრულებო ღირებულებით, ჯამში – 217,503 ლარი. ხელშეკრულების თანახმად, ანგარიშსწორება მიმწოდებელთან უნდა განხორციელებულიყო ეტაპობრივად, შესაბამისი დოკუმენტაციის, მათ შორის, ბეტონის მარკის დამადასტურებელი ლაბორატორიული დასკვნის წარდგენის შემდგომ. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მასალებისა და განმარტებების თანახმად, მიმწოდებელს არ წარმოუდგენია შესყიდული საქონლის

²⁵ SPA 160017375.

²⁶ 29.06.2016, ხელშეკრულება №144.

²⁷ 05.09.2016, სასაქონლო ზედნადები №ელ-025966148

²⁸ SPA160027838, NAT170009172.

ხარისხის დამადასტურებელი ლაბორატორიული დასკვნა. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ ფლობდა ინფორმაციას მზა ბეტონის ხარისხის შესახებ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული აღნიშნული პირობის დაუცველად, მუნიციპალიტეტმა განახორციელა სამუშაოების მიღება და ანგარიშსწორება.

დასკვნა: მუნიციპალიტეტმა დაარღვია თავისივე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები და არ გამოიყენა ხარისხის უზრუნველსაყოფად დანერგილი კონტროლის მექანიზმები. შესაბამისად, არ ფლობს საკმარის მტკიცებულებებს იმის შესახებ, რამდენად ხარისხიანად შესრულდა სამუშაოები აღნიშნული ხელშეკრულებების ფარგლებში. შედეგად, მუნიციპალიტეტის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა ჩაიბარეს და აანაზღაურეს 217,503 ლარის ისეთი საქონლის ღირებულება, რომლის ხარისხი შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნით დადასტურებული არ არის, ასევე შესაბამისი სასაქონლო ზედნადებების წარმოუდგენლობის პირობებში, ვერ დასტურდება 48,544 ლარის ღირებულების საქონლის მიწოდება.

რეკომენდაცია №5: მუნიციპალიტეტის მერიამ (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) შესყიდული საქონლის რაოდენობისა და ხარისხის შესახებ მაღალი რწმუნების მისაღებად, უზრუნველყოს მიმწოდებლისგან შესაფერისი და საკმარისი დოკუმენტაციის მიღება, მათ შორის, შესყიდული მზა ბეტონის ხარისხის შესახებ ლაბორატორიული დასკვნები, რითაც უტყუარად დადასტურდება შესყიდული საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან სრული შესაბამისობა.

გარე განათება

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების კანონის მიზანია, სახელმწიფო შესყიდვებისთვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტი ვალდებულია შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც მიმართული იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვისაკენ.

გარემოება: ხულოს მუნიციპალიტეტმა 2016 წელს დაბა ხულოსა და სასოფლო ცენტრების გარე განათების 3,928 წერტის მოვლა-ექსპლუატაციის მომსახურებაზე გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში²⁹, ხელშეკრულება გაუფორმა გამარჯვებულ პრეტენდენტს შპს „მშენებელი-5-ს“, რომლისთვისაც გადახდილ იქნა 123,773 ლარი .

ხელშეკრულების შესრულების დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ თანხვედრაში არ არის ყოველთვიურად შედგენილი მიღება-ჩაბარების და ყოველდღიურად შედგენილი სამუშაოების შესრულების აქტებში არსებული

²⁹ SPA150033540.

მონაცემები. მაგალითად, 30 მარტით დათარიღებული მიღება-ჩაბარების აქტისა და თანდართული შესრულებული სამუშაოს აქტების თანახმად, მიმწოდებლისთვის ანაზღაურებულია 7 ცალი პლაფონის ნაცვლად – 8 პლაფონის, 7 ცალი ფოტორელე „ზს-230/ს“ – ნაცვლად, 22 ცალის, 9 ცალი კონტაქტორის ნაცვლად – 10 ცალის, 5 ცალი ავტომომრთველის ნაცვლად – 6 ცალის ღირებულებები. ანალოგიური ხასიათის უზუსტობებმა წლის განმავლობაში გამოიწვია ჯამში 1,074 ლარის სხვაობა.

აუდიტის ჯგუფმა გარე დადასტურების წერილით გამოითხოვა, ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში გამოყენებული საქონლის შესყიდვის ან სხვაგვარად გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტები. მიმწოდებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით³⁰ ირკვევა, რომ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული 80-ვატიანი ეკონათურის ნაცვლად, შესყიდული აქვს 85-ვატიანი ეკონათურა, ფოტორელე „ზს-230/ს“ მოდელის ნაცვლად – ფოტორელეები – HL472, KFS 106 6ა; KFS-125 25ა; KFS-110-10ა. აღნიშნული მიუთითებს, რომ მიმწოდებლის მიერ შეძენილი საქონელი არ შეესაბამება სატენდერო წინადადებითა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ამდენად, მერიას მიმწოდებლისთვის ხელშეკრულების³¹ მოთხოვნების არაჯეროვნად შესრულებისთვის შეეძლო გამოეყენებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%, რაც ჯამში 6,189 ლარს³² შეადგენს. ამასთანავე, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული 80-ვატიანის ნაცვლად – 85-ვატიანი ნათურის მიწოდებით, წლის განმავლობაში გაიზარდა მუნიციპალიტეტის ელექტროენერგიის მოხმარების ხარჯი, არანაკლებ 7,293 ლარით.

დასკვნა: ხულოს მუნიციპალიტეტმა, გარე განათების წერტების მოვლა-ექსპლუატაციაზე არასათანადო და არასაკმარისი კონტროლის შედეგად, ზედმეტად გადაიხადა 1,074 ლარი, ხოლო ელექტროენერგიის მოხმარების ხარჯი გაზარდა 7,293 ლარით. ამასთანავე, მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულებისათვის არ გამოიყენა საჯარიმო სანქციები, რითაც ბიუჯეტმა დაკარგა დამატებით 6,189 ლარის მიღების შესაძლებლობა.

რეკომენდაცია №6: მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს სტრატეგია გარე განათების მომსახურებაზე სათანადო კონტროლის მექანიზმების დაწესების შესახებ და გამოიყენოს საჯარიმო სანქციები ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის. ამასთანავე, უზრუნველყოს მიმწოდებლისთვის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება.

³⁰ სასაქონლო ზედნაღებები.

³¹ ხელშეკრულების მე-11 პუნქტის 11.6 ქვეპუნქტი.

³² $123788,5 \times 5\% = 6189,4$

სხვა საკითხთა აზრები

საკრებულოს წევრების ხარჯების ანაზღაურება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებზე, რომლებიც არ არიან თანამდებობის პირები, კანონმდებლობა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საკმევანობასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურებას. მუნიციპალიტეტი ანაზღაურებს საკრებულოს კომისიებსა და სამუშაო ჯგუფების სხდომებში მონაწილეობის ხარჯებს, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის ყოველთვიურად გაწეულ ხარჯებს. მერიის მიერ აღნიშნული ხარჯის ანაზღაურება უნდა განხორციელდეს საკრებულოს წევრის მიერ წარმოდგენილი ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე. ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტია პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელშიც აღინიშნება დოკუმენტის (ფორმის) დასახელება, მისი შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები³³.

გამოვლენილი გარემოება: ხულოს მუნიციპალიტეტში საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებს ხარჯები უნაზღაურდებოდათ 2015 წლის 24 სექტემბრის №24 დადგენილების საფუძველზე³⁴. დადგენილების მიხედვით, საკრებულოს წევრს, საკრებულოსა და კომისიების სხდომების, დროებითი სამუშაო კომისიების მუშაობაში მონაწილეობის მიღებისათვის, ამომრჩეველებთან შეხვედრისათვის, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯების ყოველთვიური ზღვრული ოდენობა განესაზღვრა 397 ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებს, 2016-2017 წლებში ხარჯების ანაზღაურების სახით, სულ მიღებული აქვთ 148,769 ლარი. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად. თანხების გაცემის საფუძველია საკრებულოს მომართვა, საკრებულოს წევრზე ანაზღაურების გაცემის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები არ აკმაყოფილებს ხარჯის დამადასტურებელი

³³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი.

³⁴ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 სექტემბრის №24 დადგენილება „ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმ წევრებზე, რომლებიც არ არიან საქართველოს ორგანული კანონის – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 32-ე მუხლით გათვალისწინებულ თანამდებობებზე, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული საკომპენსაციო ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“.

პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის კრიტერიუმს. შედეგად, ხულოს მუნიციპალიტეტმა, 2016-2017 წლებში საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად, დოკუმენტური დასაბუთების გარეშე, ჯამში გასცა 148,769 ლარი. აღნიშნული ქმედება შეუსაბამოა საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებულ მარეგულირებელ საკანონმდებლო ნორმებთან.

რეკომენდაცია №7: ხულოს მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ დაუშვას საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება, ხარჯის გაწევის დამადასტურებელი პირველადი აღრიცხვის დოკუმენტის წარმოდგენის გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს არანაზღაურებადი წევრის საქმიანობის შესახებ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ დადგენილი მიზნების დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი: ხულოს მუნიციპალიტეტი ვალდებულია გაუფრთხილდეს მუნიციპალიტეტის ქონებას და ინვენტარიზაციით განახორციელოს არსებული ქონების მონიტორინგი და კონტროლი, ხოლო დანაკლისის შემთხვევაში, უზრუნველყოს სათანადო ღონისძიებების გატარება³⁵.

გარემოება: მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 ნოემბრის №95 ბრძანების საფუძველზე შექმნილი ხულოს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების საინვენტარიზაციო კომისიის მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად³⁶ გამოვლინდა დანაკლისი – 8,245 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულებით, მათ შორის: ძირითად აქტივებში, მცირეფასიან აქტივებსა და მატერიალურ მარაგებში. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ზემოთ აღნიშნულ დანაკლისზე მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს³⁷ 2018 წლის 5 აპრილს წერილობით³⁸ ეცნობათ და მიეცათ ვადა მიმდინარე წლის 10 აპრილამდე ქონების (დანაკლისის) დაბრუნების/ანაზღაურების

³⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის გატარების წესის“ მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

³⁶ ხულოს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ძირითადი და მცირეფასიანი აქტივების საინვენტარიზაციო კომისიის 2018 წლის 30 იანვრის სხდომის ოქმი.

³⁷ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ყოფილი უფროსი, ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების: დიოკნისის, დეკანაშვილების, რიყეთის და დიდაჭარის ყოფილი რწმუნებულები.

³⁸ 2018 წლის 5 აპრილის №09/3541, №09/3521, №09/3522, №09/3524, №09/3523 წერილები.

შესახებ. დღეის მდგომარეობით, დანაკლისი დაბრუნებული/ანაზღაურებული არ არის, რაზეც მუნიციპალიტეტს დამატებითი ღონისძიებები არ განუხორციელებია. ამრიგად, მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად, არ იქნა უზრუნველყოფილი მუნიციპალიტეტის ქონების დაცვა და არ განხორციელებულა მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

რეკომენდაცია №8: ხულოს მუნიციპალიტეტმა გაზარდოს საკუთარი ქონების დაცვის მექანიზმები და უზრუნველყოს არსებული დანაკლისების ანაზღაურების/დაბრუნების მიზნით, შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისადმი ეფექტიანი სამართლებრივი ღონისძიებების გატარება.

შიდა აუდიტი

კრიტერიუმი: შიდა აუდიტის სამსახურის მიზანია დაეხმაროს მუნიციპალიტეტს იმ პოლიტიკისა და პროცედურების განხორციელებაში, რომლებიც დაადგინა ხელმძღვანელობამ, მოწესრიგებული და ეფექტიანი მართვის მიზნით. მათ შორის, აქტივების დასაცავად, თაღლითობისა და შეცდომების აღმოსაჩენად და თავიდან ასაცილებლად, ბუღალტრული აღრიცხვის ჩანაწერების სიზუსტისა და სისრულის უზრუნველსაყოფად, ფინანსების მართვის გასაუმჯობესებლად და სხვ. დასახული ამოცანების მისაღწევად შიდა აუდიტის სამსახური შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს შიდა აუდიტორულ ანგარიშში ასახულ რეკომენდაციებზე შესაბამისი რეაგირება. ის პასუხისმგებელია ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მონიტორინგსა და შეფასებაზე. მონიტორინგი უზრუნველყოფს შიდა აუდიტორული ანგარიშით გათვალისწინებული რეკომენდაციების დროულ და შესაბამის შესრულებას.

შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის თანახმად³⁹, დაწესებულებაში შიდა აუდიტის სუბიექტის თანამშრომელთა რაოდენობისა და კვალიფიკაციის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობამ უნდა გაითვალისწინოს დაწესებულების სპეციფიკა, ბიუჯეტი, დაწესებულებაში არსებულ თანამშრომელთა რაოდენობა და ა.შ. ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამის სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, შიდა აუდიტორთა მინიმალური რაოდენობა შიდა აუდიტის სუბიექტში არის 3 თანამშრომელი, ვინაიდან

³⁹ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 დეკემბრის №593 დადგენილება „შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“.

ერთ ან ორკაციანი აუდიტის სუბიექტები იწვევს ინტერესთა კონფლიქტს ხარისხის თვითშეფასებისას.

გამოვლენილი გარემოება: ხულოს მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომელთა საშტატო რაოდენობა 2016 წლისათვის განსაზღვრული იყო 3 ერთეულით, ხოლო 2017 წლისათვის – 2 ერთეულით. 2016 წლის მარტიდან წარმოიშვა 1 საშტატო ერთეულის ვაკანსია, ხოლო 2017 წლის აპრილიდან სამსახურის ფუნქციებს ასრულებს მხოლოდ სამსახურის უფროსი. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის თანახმად, ერთკაციანი აუდიტის სუბიექტის არსებობა იწვევს ინტერესთა კონფლიქტს ხარისხის თვითშეფასებისას, მიუხედავად ამისა, მერიის მიერ ვაკანსიის შესავსებად კონკურსი არ გამოცხადებულა.

ხულოს მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურს 2016-2017 წლებში ჩატარებული აქვს 15 შიდა აუდიტორული შემოწმება, რომელიც მოიცავს როგორც მუნიციპალიტეტის გამგეობას, ისე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილია სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები (მიგნებები), რომელთა გამოსწორების მიზნით გაცემულია რეკომენდაციები, ამასთანავე, არ ხორციელდება სათანადო მონიტორინგი რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

რეკომენდაცია №9: ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურმა გააძლიეროს მონიტორინგი მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობასა და მათზე გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე. აღნიშნული უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს ვაკანსიის შევსების მიზნით კონკურსის გამოცხადება, რაც აუცილებელია შიდა აუდიტის სამსახურის წინაშე არსებული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, მუნიციპალიტეტის საქმიანობის ობიექტური და სრულფასოვანი შეფასებისათვის.

განაცდურის ანაზღაურება

კრიტერიუმი: საბიუჯეტო დაწესებულებებში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს კანონიერების და სამართლიანობის პრინციპს. საქართველოს შრომის კანონმდებლობით, დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებით მოცდენის დროს დასაქმებულს შრომის ანაზღაურება მიეცემა სრული ოდენობით.

გამოვლენილი გარემოება: სააუდიტო პერიოდში, საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებების⁴⁰ საფუძველზე, ბათილად იქნა ცნობილი ხულოს მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების ხელმძღვანელების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დასაქმებულთა თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, რის შედეგად ბიუჯეტიდან უკანონოდ გათავისუფლებული პირების სასარგებლოდ, დაეკისრათ ჯამში 29,885 ლარის გადახდა. კერძოდ, სასამართლოს გადაწყვეტილებებით უკანონოდ გათავისუფლებულად ჩაითვა 2014 წელს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების უფროსის გათავისუფლება, რომლის სასარგებლოდ განაცდურის სახით გადახდილ იქნა 25,427 ლარი და 2017 წელს ა(ა)იპ – ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების სოფელ ღურტის საბავშვო ბაღის მენეჯერის გათავისუფლება, რომლის სასარგებლოდ გადახდილ იქნა 4,458 ლარი. ამრიგად, მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოების თანამდებობის პირების მიერ კანონშეუსაბამო გადაწყვეტილებების მიღების შედეგად, ბიუჯეტიდან დამატებით გადახდილ იქნა 29,885 ლარი.

რეკომენდაცია №10: ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ საკადრო საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღებისას, მუნიციპალიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე, იხელმძღვანელონ, რათა არ დაირღვეს სხვა პირების კანონიერი ინტერესები და ბიუჯეტს არ მიადგეს ზიანი.

წინა აუდიტის დროს გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2016 წელს ჩაატარა ხულოს მუნიციპალიტეტის 2015 წლის ფინანსური აუდიტი. აუდიტის ანგარიშში დაფიქსირდა სხვადასხვა ხასიათის დარღვევა-ნაკლოვანება, რომლებზეც გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. რეკომენდაციებთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, ხულოს მუნიციპალიტეტის მიერ შესაბამისი ბუღალტრული ოპერაციების საშუალებებით გასწორდა აღრიცხვა-ანგარიშგებასთან დაკავშირებული ხარვეზები, რაც ასახულია შესაბამისი წლის ბალანსში;
- ა(ა)იპ – ხულოს კულტურის ცენტრში ჩატარდა ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების სრულყოფილი ინვენტარიზაცია, რის საფუძველზე აღმოჩენილ იქნა წინა პერიოდში არსებული დანაკლისები.

⁴⁰ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 31 ოქტომბრის, ხულოს მაგისტრი სასამართლოს 2016 წლის 21 მარტის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებები.

ხულოს მუნიციპალიტეტის მიერ დღეის მდგომარეობით შეუსრულებელია მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, რომელიც შეეხება 2015 წელს უსასყიდლოდ მიღებული, 4,700 ლარის ღირებულების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ბალანსში ასახვას.

რეკომენდაცია №11: წინამდებარე ანგარიშში ასახულ, 2016-2017 წლებში ხულოს მუნიციპალიტეტში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობის აუდიტის შედეგების გათვალისწინებით გაცემულ რეკომენდაციებთან ერთად, ხულოს მუნიციპალიტეტმა შეიმუშაოს და წარმოადგინოს სამოქმედო გეგმა დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის, სადაც ასევე ასახული იქნება მუნიციპალიტეტის 2015 წლის ფინანსური აუდიტის შედეგად გაცემული შეუსრულებელი რეკომენდაცია. ასევე გონივრულ ვადაში წარმოადგინოს მუნიციპალიტეტმა ინფორმაცია გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და მიღწეული შედეგების შესახებ.

აუდიტორთა ხელმოწერა:

ხელმოწერა

სახელი, გვარი

ირაკლი ანანიძე


წამყვანი აუდიტორი


ზვიად ვარშალომიძე

აუდიტორი

ავთანდილ აბაშიძე

აუდიტორ-ასისტენტი





17 დეკემბერი 2018 წელი

